სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160432585
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.04.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეთერ გზირიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა №14
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0431 - 24-25-47
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	81776409282716

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდახუთი აპრილი.

მე, ელგუჯა მხეიძემ (დაბადებული 04.03.1976 წელს, დაბადების ადგილი – ვანი, პირადობის მოწმობა №ა 1173683, პირადი №60001011848 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ 06.06.2008 წელს, მცხოვრები ქ.ქუთაისი, ს.გუგუნავას ქუჩა №15-3/110-ში), როგორც შ.პ.ს. „რეტრო დეველოპმენტი“-ს (ს/კ 405091207) დირექტორი, თანახმა ვარ შ.პ.ს. „ალიანსი“-მა (ს/კ 445453526) ჩვენს თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №49ბ, (ნაკვ. 8/6), საკადასტრო კოდი №01.14.07.008.123 აწარმოოს ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის დემონტაჟი.

ელგუჯა მხეიძე

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდახუთ აპრილს მე, ნოტარიუსს ეთერ გზირიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.ქუთაისში, გრიშაშვილის ქუჩა №14-ში, მომმართა ბატონმა ელგუჯა მხეიძემ, მან განაცხადა, რომ ის არის შ.პ.ს. „რეტრო დეველოპმენტი“-ს (ს/კ 405091207) დირექტორი, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე თავისი ხელისმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ელგუჯა მხეიძემ (დაბადებული 04.03.1976 წელს, დაბადების ადგილი – ვანი, პირადობის მოწმობა №ა 1173683, პირადი №60001011848 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ 06.06.2008 წელს, მცხოვრები ქ.ქუთაისი, ს.გუგუნავას ქუჩა №15-3/110-ში), მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, მას განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოთ აღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე. მან განმარტების შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე.

გადახდილია საზღაური ორი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31–ე მუხლისა და დღგ ოცდათექვსმეტი თეთრი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა და ორი ლარი დღგ–ს ჩათვლით თანახმად 39 მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი.

ნოტარიუსი: ეთერი გზირიშვილი